დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
ინგლისური ფილოლოგია, საბაკალავრო

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები: 09 მარტი - 06 აპრილი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 04 მაისი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 10

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 20

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 24

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 26

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 33

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	218076542
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ეკატერინე ბაკარაძე,** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	**ეკატერინე ფიფია,** შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	BA Program in English Philology
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ენის დაუფლება 0231
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, 18.12.2019, N254
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს - ბაკალავრიატს - მიეკუთვნება და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონეს შეესაბამება. პროგრამის მოცულობა 240 ECTS კრედიტს შეადგენს, სწავლების ენა ქართულია და პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაცია. პროგრამა აკრედიტებულია 2019 წლის 18 დეკემბრიდან და აკრედიტაცია მოქმედებს 2030 წლის 28 თებერვლამდე. პროგრამის მიზანია მოამზადოს ინგლისური ფილოლოგიის დარგში მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც შეძენილი ცოდნითა და გამომუშავებული უნარებით წარმატებით შეძლებს პროფესიულ საქმიანობას და სწავლის გაგრძელებას სამაგისტრო საფეხურზე. პროგრამა სტუდენტს კომპლექსურად შეასწავლის ინგლისურ ენას CEFR-ის B2+ დონის ჩათვლით, ლინგვისტიკის სხვადასხვა დარგს და ინგლისურენოვანი ლიტერატურის ისტორიას. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტს 115 კრედიტის მოცულობით, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით კომპონენტს 25 კრედიტის მოცულობით და თავისუფალ კომპონენტს 100 კრედიტის მოცულობით, რაც ჯამში 240 ECTS კრედიტს შეადგენს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 აფილირებული აკადემიური პერსონალი და 14 მოწვეული სპეციალისტი. პროგრამაში სწავლებისა და კვლევის მიმართულებით ჩართულია უცხოელი აკადემიური პერსონალი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25.02.2026 წლის MES 8 26 0000220137 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ეკატერინე ბაკარაძე (თავმჯდომარე) და ეკატერინე ფიფია (წევრი) განახორციელა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შეფასება. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. ექსპერტებმა დამატებით გამოითხოვეს დოკუმენტები, რომლებიც დაწესებულებამ წარმოადგინა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შეფასება შესაბამისობა დადგინდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

  I სტანდარტი - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტთან

  II სტანდარტი - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტთან

  IV სტანდარტი - ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია სტანდარტთან

- **რეკომენდაციები**

1.5.1 სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს უახლესი სამეცნიერო გამოცემებით, რომ ასახავდეს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და უზრუნველყოფდეს ინგლისური და ქართულენოვანი წყაროების ბალანსს.

- **რჩევები**

1.1.1 სასურველია, პროგრამის მიზანი უფრო კმაფიოდ მიუთითებდეს ფილოლოგიური პროფილის კომპონენტებზე, როგორიცაა თარგმანმცოდნეობა, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, ან ლიტერატურათმცოდნეობა, რომლებიც, სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, პროგრამის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

1.1.2 სასურველია, პროგრამის მიზანი უფრო კონკრეტულად და დიფერენცირებულად ჩამოყალიბდეს, ასახოს ძირითადი ფილოლოგიური სფეროები (ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, თარგმანმცოდნეობა) და მკაფიოდ მიუთითოს სამიზნე ენობრივი კომპეტენციის ნიშნული (B2+ ან FCE).

1.1.3 სასურველია, პროგრამის მიზანში ასახული მოქალაქეობრივი ღირებულებებისა და ტოლერანტული დამოკიდებულების კომპეტენცია უფრო ნათლად დაუკავშირდეს შესაბამის სწავლის შედეგს, რათა შეფასება შესაძლებელი გახდეს.

1.2.1 სასურველია, მეხუთე და მერვე სწავლის შედეგების გაერთიანება, ვინაიდან ორივე ციფრული და ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენების კომპეტენციებს ეხება და შინაარსობრივ გადაფარვას ავლენს.

1.2.2 სასურველია, სწავლის შედეგების ფორმულირება ავტონომიურობის კომპეტენციასაც მოიცავდეს. 1.2.3 დაკორექტირდეს კვალიფიკაციის დასახელება „ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი" და არა „ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი".

1.3.1 სასურველია კურიკულუმის რუკა დაიხვეწოს და მასში დამატებით აისახოს შეფასების მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები - პირდაპირი თუ არაპირდაპირი - რათა ინტეგრირებულ სურათს იძლეოდეს და შეფასების გეგმასთან ერთიან სისტემას წარმოადგენდეს.

1.4.1 პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია სასწავლო გეგმას დაემატოს ახალი კურსები, რომლებიც ფილოლოგიური პროფილის კომპეტენციების ფართო სპექტრს დაფარავს.

1.5.2 სასურველია, სავალდებულო ლიტერატურის განახლებასთან ერთად, სასწავლო კურსების შინაარსიც შესაბამისად გადაიხედოს და ასახავდეს დარგის თანამედროვე ტენდენციებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტილისტიკის, ლექსიკოლოგიის, ლიტმცოდნეობისა და ამერიკული ლიტერატურის კურსებისთვის.

2.2.1 სასურველია პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის შემოღება სტაჟირების ან პარტნიორ დაწესებულებებთან ერთობლივი პროექტების სახით, რაც კურსდამთავრებულთა პროფესიულ მზაობას და დასაქმებას მნიშვნელოვნად გაზრდის.

2.2.2 სასურველია სილაბუსებში კონკრეტული ციფრული ინსტრუმენტებისა და ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენება სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ სასწავლო აქტივობად აისახოს, რათა ციფრული კომპეტენცია ფორმალური ჩანაწერის მიღმა სასწავლო პრაქტიკაშიც აისახოს.

2.3.1 სასურველია, სილაბუსებში ასახული იყოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ციფრული სასწავლო პლატფორმებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის

თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - ეს ინფორმაცია არ არის მოცემული წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** - ეს ინფორმაცია არ არის მოცემული წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** - ეს ინფორმაცია არ არის მოცემული წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[4]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

  დაწესებულებამ სრულიად გაიზიარა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები

  - **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.** - ეს ინფორმაცია არ არის მოცემული წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია
3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	აირჩიეთ შესაბამისი
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	არ ფასდება
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	აირჩიეთ შესაბამისი
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.2	გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო
რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე
შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანამდე პროგრამის დასახელება განსაზღვრული იყო, როგორც „ინგლისური ფილოლოგია". პროგრამას ცვლილება არ განუცდია, აღნიშნული დასახელება შესაბამისობაშია პროგრამით დასახულ მიზნებთან.

ექსპერტები დასკვნის პროცესში, სხვა საკანონმდებლო დოკუმენტებთან ერთად, ხელმძღვანელობდნენ ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში (დამტკიცებული 2021 წელს) ჩამოყალიბებული მინიმალური სწავლის შედეგების სპეციფიკით და ფილოლოგიური პროფილის მოთხოვნებით. პროგრამა სწორად არის მოთავსებული ენის დაუფლების სწავლის სფეროში (კოდი 0231), მე-6 დონეზე, ფილოლოგიური პროფილით, რაც შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. სამიზნე ენობრივი კომპეტენცია B2+ CEFR დონეზე, ოთხი სამეტყველო აქტივობის ჩათვლით, შეესაბამება მახასიათებლის ცოდნის ბლოკს. ინგლისური ენის, ლინგვისტიკის კურსებისა და ლიტერატურის ისტორიის კომპლექსური სწავლება შეესაბამება ფილოლოგიური პროფილის განმარტებას (ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, თარგმანმცოდნეობა). ქვეყანათმცოდნეობისა და ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპონენტი ასახულია პროგრამის მიზნებში; ასევე ნახსენებია შრომის ბაზრის მოთხოვნები და სწავლის გაგრძელების პერსპექტივა მაგისტრატურის საფეხურზე.

საბაკალავრო პროგრამა „ინგლისური ფილოლოგია" მიზნად ისახავს მოამზადოს ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც შეძენილი ცოდნით, გამომუშავებული უნარებითა და განვითარებული მოქალაქეობრივი ღირებულებებით წარმატებით შეძლებს პროფესიულ საქმიანობას და/ან სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში. პროგრამა კომპლექსურად შეასწავლის სტუდენტს ინგლისურ ენას საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს B2+ დონეზე, ლინგვისტიკის კურსებსა და ინგლისურენოვანი ლიტერატურის ისტორიას. ოთხივე სამეტყველო უნარ-ჩვევის (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა) განვითარებასთან ერთად, პროგრამა ითვალისწინებს ენის დამოუკიდებლად გამოყენებას, ქვეყანათმცოდნეობის ზოგიერთი საკითხისა და ინტერკულტურული კომუნიკაციის ელემენტების გაცნობიერებას,

მულტილინგვური კომპეტენციების განვითარებას, ასევე სტუდენტთა მსოფლმხედველობის გაფართოებას, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებისადმი შეგნებული და ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარის გამომუშავებას. პოზიტიურია ის, რომ პროგრამის მიზნები, გაზიარებულია პერსონალსა და სტუდენტებთან, ასევე საჯაროა და ხელმისაწვდომი - განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგსა და ბიბლიოთეკაში.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესში პროგრამის მიზნები ცვლილებას არ დაქვემდებარებია.

სასურველია, პროგრამის მიზანი უფრო კმაფიოდ მიუთითებდეს ფილოლოგიური პროფილის კომპონენტებზე, როგორიცაა თარგმანმცოდნეობა, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, ან ლიტერატურათმცოდნეობა, რომლებიც, სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, პროგრამის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

სასურველია, პროგრამასა და დანართებში მკაფიოდ დაფიქსირდეს ინგლისური ენის კომპეტენციის სამიზნე ნიშნული: პროგრამის მიზნებში მითითებულია B2+ დონე, ხოლო კურიკულუმის რუკაში ბოლო ენის კურსი (ინგლ. ენა VII) B2.+/FCE-ად კლასიფიცირდება. მნიშვნელოვანია, პროგრამასა და მის დანართებში განისაზღვროს ენის ფლობის ერთი, კონკრეტული სამიზნე დონე - „ენათა ცოდნის საერთოევროპული სარეფერენციო ჩარჩოს" (CEFR) შესაბამისი ნიშნულის სახით - და ნათლად გაიმიჯნოს, პროგრამა CEFR-ის B2+-ს მიაჩნია სამიზნედ, თუ Cambridge B2 First (FCE) სერტიფიკატის მიღებას, ვინაიდან ეს ორი ნიშნული, მართალია, ფართო შეფასებით ერთმანეთთან ახლოსაა, მაგრამ მეთოდოლოგიურად და გამოყენების კუთხით იდენტური არ არის.

სასურველია, პროგრამის მიზანში ასახული მოქალაქეობრივი ღირებულებებისა და ტოლერანტული დამოკიდებულების კომპეტენცია სწავლის შედეგებშიც უფრო კონკრეტულად აისახოს, რათა „მიზანი - სწავლის შედეგი - შეფასება" ლოგიკური ჯაჭვი სრულყოფილი იყოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული მისია.

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- სასურველია, პროგრამის მიზანი უფრო კმაფიოდ მიუთითებდეს ფილოლოგიური პროფილის კომპონენტებზე, როგორიცაა თარგმანმცოდნეობა, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, ან ლიტერატურათმცოდნეობა, რომლებიც, სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, პროგრამის არსებით შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.
- სასურველია, პროგრამის მიზანი უფრო კონკრეტულად და დიფერენცირებულად ჩამოყალიბდეს, ასახოს ძირითადი ფილოლოგიური სფეროები (ლინგვისტიკა,

ლიტერატურათმცოდნეობა, თარგმანმცოდნეობა) და მკაფიოდ მიუთითოს სამიზნე ენობრივი კომპეტენციის ნიშნული (B2+ ან FCE).

- 1.1.3 სასურველია, პროგრამის მიზანში ასახული მოქალაქეობრივი ღირებულებებისა და ტოლერანტული დამოკიდებულების კომპეტენცია უფრო ნათლად დაუკავშირდეს შესაბამის სწავლის შედეგს, რათა შეფასება შესაძლებელი გახდეს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ მათი ფორმულირება, რითაც შესაბამისობაში მოვიდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან. კერძოდ, სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდა კომპეტენციების სახით სამი კატეგორიის - ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - აღწერით, ხოლო სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა ახლანდელ დროში, აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ადგენს 11 სწავლის შედეგს, რომლებიც სამ კატეგორიადაა განაწილებული: ცოდნა და გაცნობიერება (სწავლის შედეგები 1-2), უნარი (სწავლის შედეგები 3-9) და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (სწავლის შედეგები 10-11). სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ახლანდელ დროში, აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით - „მსჯელობს", „მიმოიხილავს", „იყენებს", „ახორციელებს", „განსაზღვრავს", „მონაწილეობს" - რაც სტანდარტის ტექნიკურ მოთხოვნებს პასუხობს და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონეს.

პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.

შინაარსობრივი ანალიზის კუთხით სწავლის შედეგები მოიცავს ფილოლოგიური პროგრამის ოთხ ძირეულ კომპეტენციას: ლინგვისტიკისა და ლიტერატურის ცოდნას, ენობრივ კომუნიკაციას და თარგმანს/ლინგვისტურ ანალიზს. ეს კომპეტენციები ეხმიანება ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელში განსაზღვრულ მინიმალურ სავალდებულო შედეგებს.

პროგრამის სამომავლო განვითარების კუთხით, სასურველია რამდენიმე ასპექტის დაკორექტირება სწავლის შედეგების ფორმულირების ნაწილში. კერძოდ, მეხუთე და მერვე სწავლის შედეგი შინაარსობრივ გადაფარვას ავლენს - ორივე ციფრული და ელექტრონული

ინსტრუმენტების გამოყენების კომპეტენციებს ეხება. მეხუთე სწავლის შედეგის ფორმულირებაა „იყენებს ქართულ და ინგლისურ ენებზე არსებულ მულტიმედიურ, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ რესურსებს სწავლის, კვლევისა და თარგმნის პროცესებში", ხოლო მერვე შედეგის - „იყენებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს კომუნიკაციის, კვლევის და პრეზენტაციის პროცესში". კურიკულუმის რუკაში ამ ორ შედეგს ენობრივი კურსები - ინგლისური ენა I - VII უკავშირდება და უფრო ლოგიკური იქნებოდა მეხუთე და მერვე სწავლის შედეგების გაერთიანება, ვინაიდან ორივე ციფრული და ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენების კომპეტენციებს ეხება.
მეათე სწავლის შედეგი „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის" კატეგორიაში ნაკლებად ასახავს „ავტონომიურობის" კომპეტენციას. „იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარი საქმიანობის შედეგებს" - ეს ფორმულირება ეთიკური ნორმების დაცვაზეა ორიენტირებული. ბაკალავრიატის საფეხურზე „ავტონომიურობის" კომპეტენცია, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის შესაბამისად, ასევე გულისხმობს სტუდენტის უნარს, იმოქმედოს ნაცნობ და ნაწილობრივ გაუთვალისწინებელ სიტუაციებში - ეს კომპონენტი კი ფორმულირებაში არ ჩანს.

უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ანგარიშის ცხრილ 1-ში გამოვლინდა ტექნიკური შეუსაბამობა: „კვალიფიკაციის დასახელების" ველში ჩაწერილია „ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი" (Bachelor of English Philology) ნაცვლად „ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრისა", რაც უნდა დაკორექტირდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების მატრიცა;
- ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი (დამტკიცებული 2021 წ.)

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

1.2.1 სასურველია, მეხუთე და მერვე სწავლის შედეგების გაერთიანება, ვინაიდან ორივე ციფრული და ელექტრონული ინსტრუმენტების გამოყენების კომპეტენციებს ეხება და შინაარსობრივ გადაფარვას ავლენს.
1.2.2 სასურველია, სწავლის შედეგების ფორმულირება ავტონომიურობის კომპეტენციასაც მოიცავდეს. 1.2.3 დაკორექტირდეს კვალიფიკაციის დასახელება „ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი" და არა „ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი".

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[1.2 პროგრამის სწავლის შედეგები]	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციის - საგანმანათლებლო პროგრამის, სწავლის შედეგების შეფასების გეგმის, I სწავლის შედეგის შეფასების ანგარიშის, კურიკულუმის რუკისა (დანართი 1.1) და სწავლის შედეგების შეფასებისა და მტკიცებულებების ცხრილის (დანართი 1.2) - ანალიზის საფუძველზე დგინდება, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელიც 11 სწავლის შედეგს მოიცავს. თითოეული სწავლის შედეგისათვის განსაზღვრულია შესაფასებელი სასწავლო კომპონენტი, შეფასების მეთოდი, პასუხისმგებელი ლექტორი და სამიზნე ნიშნული. გეგმის ფარგლებში გათვალისწინებულია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტები: პირდაპირი შეფასება ეფუძნება სასწავლო კომპონენტებში მიღებულ ქულებს - საკურსო ნაშრომს, ყოველკვირეულ შეფასებას, პრეზენტაციასა და დასკვნით გამოცდას, - არაპირდაპირი შეფასება კი სტუდენტთა გამოკითხვით ხორციელდება. შეფასება ეფუძნება 2022-2023 სასწავლო წელს ჩარიცხულ ნაკადს.

2025-2026 სასწავლო წელს განხორციელდა I სწავლის შედეგის შეფასება - ინგლისური ენის ლექსიკოლოგიასა (საკურსო ნაშრომი) და ინგლისურენოვანი ლიტერატურის ისტორიაში მიღებული ქულების საფუძველზე. 25 სტუდენტის შეწონილი ქულების ანალიზმა აჩვენა, რომ 19 სტუდენტმა (76%) სამიზნე ნიშნულს გადააჭარბა, ხოლო არაპირდაპირი შეფასების ფარგლებში 21 მონაწილიდან 81%-მა I სწავლის შედეგის მიღწევა დაადასტურა. დანარჩენი 10 სწავლის შედეგის შეფასება 2026-2027 სასწავლო წლისთვის არის დაგეგმილი.

პროგრამაში აღწერილია სტუდენტის შეფასების სისტემა, განსაზღვრულია შუალედური და დასკვნითი შეფასების სისტემა, შეფასების მეთოდების ფართო სპექტრი და მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, რაც წარმოადგენს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის საფუძველს და სწორედ ამ კომპონენტებში დაგროვებულ მონაცემებს იყენებს შეფასების ჯგუფი პროგრამის დონეზე სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად.

კურიკულუმის რუკაში ასახულია სასწავლო კომპონენტების კავშირი სწავლის შედეგებთან, თუმცა, რუკაში არ არის მითითებული შეფასების მეთოდები, სამიზნე ნიშნულები და პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტები. შესაბამისად,სასურველია კურიკულუმის რუკა შევსებული იქნეს ამ მონაცემებით, რათა ის სრულფასოვნად ასახავდეს არა მხოლოდ სასწავლო კომპონენტებსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირს, არამედ იმასაც, თუ როგორ და რა ნიშნულამდე იზომება ეს კავშირი.

სწავლის შედეგების შეფასებისა და მტკიცებულებების ცხრილში (დანართი 1.2) ყველა 11 სწავლის შედეგისათვის შემფასებლად მითითებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჯგუფის წევრები, მტკიცებულებად კი - ამავე ჯგუფის ანგარიში. შეფასების სისტემაში სტუდენტთა გამოკითხვის გარდა სხვა კომპონენტი ჩართული არ არის, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა იმ კონტექსტში, რომ პროგრამის კურსდამთავრებული ფართო და მრავალფეროვან სფეროებში - საერთაშორისო ინსტიტუციებში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მედიასა და კომუნიკაციაში, ტურიზმში, სახელმწიფო სტრუქტურებში - დასაქმებისთვის ემზადება. გარდა ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ასახავს, თუ

კონკრეტულად როგორ გამოიყენება შეფასების შედეგები პროგრამის გასაუმჯობესებლად - უკუკავშირის ეს ციკლი ინსტიტუციურად ფორმალიზებული არ ჩანს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი (დანართი 1 და 2)

რეკომენდაციები

- არ გაცემულა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.3.1 სასურველია კურიკულუმის რუკა დაიხვეწოს და მასში დამატებით აისახოს შეფასების მეთოდები და შეფასების ინსტრუმენტები - პირდაპირი თუ არაპირდაპირი - რათა ინტეგრირებულ სურათს იძლეოდეს და შეფასების გეგმასთან ერთიან სისტემას წარმოადგენდეს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს (4 წელი, 8 სემესტრი), რაც შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის მოთხოვნასთან. საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, პროგრამის სტრუქტურა შემდეგნაირად ნაწილდება: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტები - 115 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი კომპონენტები - 25 კრედიტი; თავისუფალი კომპონენტი - 100 კრედიტი; სულ - 240 კრედიტი. თვითშეფასების ანგარიში ასევე ადასტურებს, რომ პროგრამის სტრუქტურა არ შეცვლილა და შედგენილია ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული სასწავლო

კომპონენტებისგან, რომელთა ერთობლიობა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას განაპირობებს.
კურიკულუმის რუკის მიხედვით, პროგრამა მოიცავს 23 სასწავლო კომპონენტს, რომლებიც ოთხ ძირეულ ბლოკად ჯგუფდება:
ენობრივი კომპეტენციის ბლოკი მოიცავს შვიდ ენობრივ პრაქტიკულ კურსსა და ინგლისური ენის ფონეტიკის კურსს. ინგლისური ენა I-VII CEFR-ის B1.1-დან B2+/FCE-მდე ეტაპობრივ, ლოგიკურ პროგრესიას ქმნის და ყველა სხვა ფილოლოგიური კომპეტენციის (ლიტერატურული ანალიზი, ლინგვისტური კვლევა, თარგმანი) პრაქტიკული საფუძველია.
ლინგვისტიკის ბლოკი მოიცავს შვიდ სასწავლო კურსს: ენათმეცნიერების შესავალი, შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში, ინგლისური ენის ისტორია, ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა, ინგლისური ენის ლექსიკოლოგია, ინგლისური ენის სტილისტიკა და შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში. ამ ბლოკის სასწავლო კურსები „შესავლიდან" „სიღრმისეულ" კომპონენტებამდე ლოგიკურ ჯაჭვს ქმნიან, რაც ლინგვისტური კომპეტენციების ეტაპობრივი დაგროვების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.
ლიტერატურის ბლოკი მოიცავს ხუთ სასწავლო კურსს: ლიტმცოდნეობის შესავალი, ინგლისურენოვანი ლიტერატურის ისტორია (შუა საუკუნეებიდან განმანათლებლობამდე), ინგლისურენოვანი ლიტერატურის ისტორია (განმანათლებლობიდან მოდერნიზმამდე), XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა და ქართული ლიტერატურის ისტორია. ეს ბლოკი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვითარდება და უზრუნველყოფს ლიტერატურის მიმართულებით ცოდნისა და კომპეტენციების განვითარებას.
დამატებითი სასწავლო კურსების ბლოკი მოიცავს სამ კომპონენტს: კრიტიკული აზროვნება, თარგმანის თეორია და პრაქტიკა, დიდი ბრიტანეთის ისტორია.
პროგრამის სტრუქტურის სამომავლო განვითარებისთვის, სასურველია, პროგრამის სასწავლო გეგმას დაემატოს „აკადემიური წერის" ან „კვლევის მეთოდების" ტიპის სასწავლო კურსი. ამჟამად პროგრამაში კვლევითი კომპეტენციის (სწავლის შედეგი 4) მიღწევა ძირითადად „თარგმნის თეორია და პრაქტიკისა" და „სტილისტიკის" კურსებს ეყრდნობა, რომლებიც, თავისი არსით, პრაქტიკულ-ანალიტიკური ხასიათისაა. კვლევის დაგეგმვის, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისა და მცირე მოცულობის კვლევითი ნაშრომის შექმნისთვის საჭირო კომპეტენციები არცერთ კონკრეტულ სასწავლო კურსს არ უკავშირდება. ამ ტიპის სასწავლო კურსის ჩართვა პირდაპირ ემსახურება ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ მოთხოვნას, კერძოდ - სტუდენტმა „უნდა შეძლოს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად".
სასურველია, პროგრამას დაემატოს ახალი სასწავლო კურსები, ვინაიდან ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი ფილოლოგიური პროფილის პროგრამებისათვის განსაზღვრავს კომპეტენციების ფართო სპექტრს, რომელთა ნაწილი ამჟამინდელ სასწავლო გეგმაში სათანადოდ წარმოდგენილი არ არის. კერძოდ, სასურველია განიხილოს შემდეგი სასწავლო კურსების ჩართვა:
1. სოციოლინგვისტიკა (რომელიც მეშვიდე სწავლის შედეგის (კულტურათაშორის სხვაობათა გააზრება) მიღწევას არსებითად გააძლიერებს);
2. დისკურსის ანალიზი (რომელიც ხელს შეუწყობს ტექსტის, როგორც ენობრივი პროდუქტის ანალიზის კომპეტენციის განვითარებას. ამჟამად ამ კომპეტენციას „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში" მხოლოდ შესავლის დონეზე ფარავს. დისკურსის ანალიზის კურსი ამ სფეროს სიღრმისეულ განხილვას შესაძლებელს გახდის და პირველი (მსჯელობს ლინგვისტიკის თაობაზე) და მეექვსე სწავლის შედეგების (ლინგვისტური ანალიზი) განვითარებას პირდაპირ ემსახურება;
3. ქვეყანათმცოდნეობა (ბრიტანეთი /აშშ): ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამისთვის მნიშვნელოვანია „სამიზნე ენასთან, შესაბამის კულტურულ და საზოგადოებრივ გარემოსთან დაკავშირებულ ფართო ცოდნა". ამჟამად ეს კომპეტენცია

„დიდი ბრიტანეთის ისტორიით" მხოლოდ ნაწილობრივ არის დაფარული. კურსის დამატებით მეშვიდე სწავლის შედეგის (კულტურათაშორისი კომპეტენცია) მიღწევა იქნება სიღრმისეულად უზრუნველყოფილი;
4. ინტერკულტურული კომუნიკაცია - კულტურათშორისი კომუნიკაციისას ენობრივი შუამავლობის უნარის განვითარების უზრუნველსაყოფად, რაც პროგრამის მეშვიდე სწავლის შედეგით გათვალისწინებული კომპეტენციის მისაღწევად მნიშვნელოვანია. ვინაიდან ეს კომპეტენცია შრომის ბაზრის მოთხოვნებთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული - ინგლისური ფილოლოგიის კურსდამთავრებული საერთაშორისო ინსტიტუციებში, დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა თუ საგანმანათლებლო სექტორში სწორედ ამ კომპეტენციას ეყრდნობა. კურიკულუმის რუკის მიხედვით, მეშვიდე სწავლის შედეგი ამჟამად არაპირდაპირ - ენობრივი პრაქტიკის ან ლიტერატურული კონტექსტის გავლით - მიიღწევა, ხოლო ინტერკულტურული კომუნიკაციის სახით წარმოდგენილი სპეციალიზებული სასწავლო კურსი, რომელიც ამ კომპეტენციის განვითარებას პირდაპირ უზრუნველყოფდა, პროგრამაში არ არის გათვალისწინებული.
პროგრამაში წინაპირობები სისტემურადაა განსაზღვრული, რაც სასწავლო პროცესის თანმიმდევრულობას უზრუნველყოფს. ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები (I-VII) ეტაპობრივ ჯაჭვს ქმნის, სადაც თითოეული დონე წინა კურსს ეყრდნობა. სპეციალიზებული კურსები - თარგმანის თეორია, სტილისტიკა, ლექსიკოლოგია და სხვა, ლოგიკურად უკავშირდება B2 ენობრივ კომპეტენციას, რაც მათი შინაარსის სრულფასოვნად ათვისების წინაპირობაა. პროგრამა ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- დაწესებულების ვებ-გვერდი;
- ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი (დამტკიცებული 2021 წ.)

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

1.4.1 პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია სასწავლო გეგმას დაემატოს ახალი კურსები, რომლებიც ფილოლოგიური პროფილის კომპეტენციების ფართო სპექტრს დაფარავს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო კურსების შინაარსის, კრედიტების რაოდენობის, სწავლის შედეგებისა და სასწავლო მასალის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამა ძირითადად უზრუნველყოფს ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფიკაციის მოთხოვნებთან შესაბამისობას. ყველა კურსი 5 ECTS კრედიტის მოცულობისაა და 125 საათიანი სასწავლო დატვირთვის სახით ასახულია სილაბუსებში. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების განაწილება კურსის შინაარსს შეესაბამება: ლინგვისტური თეორიული კურსები (ინგლისური ენის ისტორია, თეორიული გრამატიკა, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა) 26 საათი ლექციასა და 13 საათი ჯგუფურ მუშაობას ითვალისწინებს, ხოლო ენის პრაქტიკული კურსებში (ინგლისური ენა I–VII) 78 საათი სრულად პრაქტიკულ მეცადინეობაზეა დაფუძნებული.

სწავლის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსების სწავლის შედეგები პროგრამის ზოგად კომპეტენციებს - ინგლისური ენის B2+ დონის ფლობა, ლინგვისტური ანალიზის, ლიტერატურული ინტერპრეტაციის, კვლევითი და კომუნიკაციური კომპეტენციები - სათანადოდ უზრუნველყოფს. კერძოდ, ინგლისური ენის I–VII კურსების სწავლის შედეგები CEFR-ის სტანდარტთან შესაბამისობაში ეტაპობრივად მიმდინარეობს; სპეციალიზებული ლინგვისტური კურსების (სტილისტიკა, ლექსიკოლოგია, ტექსტის ლინგვისტიკა) სწავლის შედეგები კი ანალიტიკურ, კვლევით და ინტერპრეტაციულ კომპეტენციებს ავითარებს, რაც ფილოლოგიური კვალიფიკაციის მიღწევისთვის აუცილებელია. ლიტერატურის მიმართულების კურსების - „ლიტმცოდნეობის შესავალი" და „XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურა" სწავლის შედეგები ტექსტის ანალიზის, ისტორიული კონტექსტუალიზაციისა და შედარებითი კვლევის უნარებს ფარავს. „ინგლისური ენის სტილისტიკის" ბიბლიოგრაფიაში ყველაზე ბოლოდროინდელ წყაროდ მითითებულია Burke (2014), როდესაც 2014 წლის შემდეგ სტილისტიკაში მნიშვნელოვანი ნაშრომები გამოიცა კოგნიტური სტილისტიკის, ციფრული ტექსტების სტილისტიკის მიმართულებით. „ლიტმცოდნეობის შესავლის" კურსის ბიბლიოგრაფიაც (გაფრინდაშვილი/მირესაშვილი (2011) და „ლიტმცოდნეობის საფუძვლები" (1996)) მოძველებულია და არ ასახავს ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე ტენდენციებს (პოსტსტრუქტურალიზმი, ახალი ისტორიციზმი, ეკოკრიტიციზმი). „XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურის" კურსში სავალდებულო ლიტერატურაში ერთი 1994 წლის ქართული მიმოხილვითი ნაშრომია, ხოლო Norton Anthology-ს 2003 წლის გამოცემა მოძველებულია, რადგან ხელმისაწვდომია განახლებული ვერსიები, 2012 და 2017 წლების გამოცემები. „ინგლისური ენის ფონეტიკის" ერთადერთი სავალდებულო სახელმძღვანელო Baker (2008) გამოთქმის პრაქტიკულ კურსს წარმოადგენს და ვერ ფარავს ფონოლოგიის თეორიულ საფუძვლებს, IPA სისტემასა და ინტონაციის ანალიზს, რაც კურსის სწავლის შედეგებით გათვალისწინებულ კომპეტენციებს სრულად ვერ უზრუნველყოფს.

სილაბუსებში ასახულ სასწავლო მასალასთან დაკავშირებით, ბიბლიოგრაფიის ანალიზში გამოვლინდა, რომ ნაწილ კურსებში ბიბლიოგრაფია ან სრულად არ არის (ინგლისური ფილოლოგიის შესავალი, ქართული ლიტერატურის ისტორია), მოძველებულია ან მწირია. უფრო კონკრეტულად, კურსების „შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში", „ენათმეცნიერების

შესავალი", „ინგლისური ენის ისტორია" სილაბუსში ბიბლიოგრაფიის განყოფილება სრულად არ არის. კურსის „ინგლისური ენის თეორიული გრამატიკა" ბიბლიოგრაფია მოიცავს მხოლოდ ორ, ლიტერატურას Kirvalidze (2013) და Iriskulov (2006) და სასურველია, სილაბუსი შეივსოს სათანადო სახელმძღვანელოებით. მსგავსად, „ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის" კურსში Holliday & Yallop-ის 2007 წლის გამოცემით, და დამატებით ლიტერატურაში 1979 წლის Ginzburg et al. ლექსიკოლოგიის სახელმძღვანელოდ გამოყენება არაა სასურველი. უნდა აღინიშნოს, რომ დამატებით ლიტერატურაში მითითებულია ასევე Yule (1994), Finegan (1994) და Plag (2018), რომლებიც კურსის შინაარსს მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს. რეკომენდებულია, ბიბლიოგრაფიის გადახედვა და განახლება მთელი პროგრამის მასშტაბით - განსაკუთრებით იმ კურსებში, სადაც ბიბლიოგრაფია სრულად არ არის ან მხოლოდ მოძველებულ წყაროებს ეყრდნობა. სავალდებულო ლიტერატურა შეივსოს 2020 წლის შემდეგ გამოცემული სამეცნიერო ნაშრომებით, ასახავდეს შესაბამისი დარგის თანამედროვე ტენდენციებს და უზრუნველყოფდეს ინგლისურ- და ქართულენოვანი წყაროების გონივრულ ბალანსს.
სავალდებულო ლიტერატურის განახლებასთან ერთად, სასურველია სასწავლო კურსების შინაარსიც შესაბამისად გადაიხედოს და ასახავდეს დარგის თანამედროვე ტენდენციებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტილისტიკის, ლექსიკოლოგიის, ლიტმცოდნეობისა და ამერიკული ლიტერატურის კურსებისთვის, სადაც ბოლო ათწლეულების სამეცნიერო სივრცეში მნიშვნელოვანი ახალი მიმართულებები ჩამოყალიბდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებელი (დამტკიცებული 2021 წ.)

[რეკომენდაციები]

- 1.5.1 სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს უახლესი სამეცნიერო გამოცემებით, რომ ასახავდეს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს და უზრუნველყოფდეს ინგლისური და ქართულენოვანი წყაროების ბალანსს.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- 1.5.2 სასურველია, სავალდებულო ლიტერატურის განახლებასთან ერთად, სასწავლო კურსების შინაარსიც შესაბამისად გადაიხედოს და ასახავდეს დარგის თანამედროვე ტენდენციებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტილისტიკის, ლექსიკოლოგიის, ლიტმცოდნეობისა და ამერიკული ლიტერატურის კურსებისთვის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**

1.5 სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაზე დადგენილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნას. განსაზღვრულია გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას. კერძოდ, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების პირობად განსაზღვრულია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები, მათ შორის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ან ისტორიის გამოცდები, რაც პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე გამართლებულია. ასევე გათვალისწინებულია კანონმდებლობით დადგენილი ალტერნატიული ჩარიცხვის გზები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები

- არ გაცემულა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშისა ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამა ზოგადად ითვალისწინებს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის საჭირო კომპონენტებს.

პრაქტიკული უნარების კუთხით, პროგრამის ძირეული მიმართულება - ინგლისური ენის პრაქტიკული კურსების (I–VII) ჯაჭვი — B1.1 დონიდან B2+/FCE-მდე ეტაპობრივ კომუნიკაციურ კომპეტენციას ავითარებს ოთხივე სამეტყველო უნარის ინტეგრირებული სწავლებით. პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებას ასევე ემსახურება შეთავაზებული კურსი „დარგობრივი ენა: ბიზნეს-ინგლისური საქმიანი კომუნიკაცია" ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებზე, რომელიც სრულად პრაქტიკულ მეთოდზეა აგებული და ენობრივი კომუნიკაციის უნარს ყალიბებს.

კვლევითი და შემოქმედებითი უნარების კომპონენტი პროგრამის მეოთხე სწავლის შედეგებში ასახულია - „ახორციელებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად", რაც სასწავლო კურსების - „ინგლისური ენის ლექსიკოლოგია", „ინგლისური ენის სტილისტიკა", „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში" და „თარგმნის თეორია და პრაქტიკა", ფარგლებში საკურსო ნაშრომის სახით ხორციელდება, რაც კვლევითი ამოცანების გადაჭრის, წყაროების მოძიებისა და ანალიტიკური წერის პრაქტიკულ გამოცდილებას სძენს სტუდენტს. ამასთანავე, თვითშეფასების ანგარიშში ჩანს, რომ კვლევითი კომპეტენციები (სწავლის შედეგი 4) კურსებით - თარგმნის თეორია (3), სტილისტიკა (3), ლექსიკოლოგია (3) - მიიღწევა, რაც ლოგიკურია. ტრანსფერული უნარების - კულტურათშორისი კომუნიკაციის, ICT-ის გამოყენების, დამოუკიდებელი სწავლისა და პროფესიული ეთიკის - განვითარება პროგრამის სწავლის შედეგებში (7, 8, 10, 11) ასახულია. პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტი, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ორ კონკრეტულ კურსს, „ინგლისური ენის სტილისტიკა" და „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში" უკავშირდება, რომლებიც ამ კომპეტენციის განმახორციელებელ ძირეულ კომპონენტებად გამოყოფილია.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტი არ არის გათვალისწინებული, რაც თვითშეფასების ანგარიშშიც ფიქსირდება. ინგლისური ფილოლოგიის კურსდამთავრებულთა შესაძლო დასაქმების სფეროები - საგამომცემლო, მედიის, საგანმანათლებლო, ტურისტული და კულტურული სექტორები საკმაოდ ვრცელია და პროგრამის მოცემული ვერსიით პრაქტიკული გამოცდილების გარეშე პრაქტიკული მზაობის კომპონენტი ნაწილობრივ შეუვსებელი რჩება. ციფრული კომპეტენციების განვითარება - ICT-ის გამოყენება კვლევისა და კომუნიკაციის პრაქტიკაში - სწავლის შედეგ 8-ში ფორმალურად ასახულია, მაგრამ სილაბუსების ანალიზი ცხადყოფს, რომ კონკრეტული ციფრული ინსტრუმენტები, კორპუსული ლინგვისტიკის ბაზები ან ციფრული ჰუმანიტარიის მიდგომები სასწავლო კომპონენტებში ფაქტობრივად არ არის ინტეგრირებული. სასურველია სილაბუსებში კონკრეტული ციფრული ინსტრუმენტებისა და ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენება სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ სასწავლო აქტივობად აისახოს, რათა ციფრული კომპეტენცია ფორმალური ჩანაწერის მიღმა სასწავლო პრაქტიკაშიც აისახოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- 2.2.1 სასურველია პროგრამაში პრაქტიკის კომპონენტის შემოღება სტაჟირების ან პარტნიორ დაწესებულებებთან ერთობლივი პროექტების სახით, რაც კურსდამთავრებულთა პროფესიულ მზაობას და დასაქმებას მნიშვნელოვნად გაზრდის.
- 2.2.2 სასურველია სილაბუსებში კონკრეტული ციფრული ინსტრუმენტებისა და ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენება სწავლის შედეგებთან დაკავშირებულ სასწავლო აქტივობად აისახოს, რათა ციფრული კომპეტენცია ფორმალური ჩანაწერის მიღმა სასწავლო პრაქტიკაშიც აისახოს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო კურსების სილაბუსების ანალიზი ცხადყოფს, რომ პროგრამა ძირითადად სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით ხორციელდება და ძირითადად, შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს, კურსის შინაარს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები (ინგლისური ენა I–VII), სტილისტიკა, ლექსიკოლოგია და ტექსტის ლინგვისტიკა სწავლების მეთოდების ვრცელ სპექტრს ითვალისწინებს: სალექციო, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა, დისკუსია-დებატები, ანალიზი-სინთეზი, პრეზენტაცია, წყვილებში მუშაობა და გონებრივი იერიში. დარგობრივი ენების შემსწავლელი კურსები სრულად პრაქტიკულ

მეთოდზეა დაფუძნებული, რაც კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას უწყობს ხელს და შეესაბამება კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.
თუმცა, ნაწილ სილაბუსებში კერძოდ, „შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში", „ენათმეცნიერების შესავალი", „ინგლისური ენის ისტორია" - სწავლების მეთოდები სტანდარტული, მოკლე ჩამოთვალით შემოიფარგლება. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენება, ციფრული სასწავლო პლატფორმები და პროექტზე დაფუძნებული სწავლება მეთოდებს შორის ფაქტობრივად არ ასახულა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფილოლოგიური პროფილის სასწავლო კურსებისთვის პრაქტიკულ ღირებულებას ატარებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

რეკომენდაციები

არ გაცემულა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

2.3.1 სასურველია, სილაბუსებში ასახული იყოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ციფრული სასწავლო პლატფორმებზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში წარმოდგენილია დეტალიზებული შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს შუალედური და დასკვნითი შეფასების კომბინაციას, 100-ქულიან სისტემას (A-F); FX-ის (41-50) მექანიზმს დამატებითი გამოცდით, მინიმალური

კომპეტენციის ზღვრის განსაზღვრას, მრავალფეროვან შეფასების მეთოდებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ტესტი, ესსე, პორტფოლიო, პრეზენტაცია, თარგმანი და სხვ.).

სასწავლო კურსების სილაბუსებშიც გათვალისწინებულია სტრუქტურირებული, გამჭვირვალე შეფასების სისტემა ენობრივი კომპეტენციის განმავითრებელ კურსებშიც (ინგლისური ენა I-VII) ზეპირი და წერითი შეფასება თანაბრად არის წარმოდგენილი.

სტუდენტების შეფასება შეესაბამება კანონმდებლობის, დაწესებულებაში განსაზღვრული კრიტერიუმების მოთხოვნებს. სილაბუსებში შეფასების კრიტერიუმები ლექტორის მიერ განისაზღვრება და სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში ეცნობება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურიკულუმის რუკა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.
- **რეკომენდაციები:**

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს

შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1_სტუდენტების შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.2_____მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა

მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით დგინდება, რომ საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ გააძლიერა საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური რესურსი. პროგრამის განხორციელებაში ამჟამად ჩართულია 12 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 5 პროფესორი და 5 ასოცირებული პროფესორი, რომელთაგან ყველა აფილირებულია დაწესებულებასთან. პროგრამაში მონაწილეობს 14 მოწვეული პერსონალი და 1 უცხოელი პერსონალი, რომელიც ჩართულია როგორც სწავლებაში, ასევე კვლევაში.
აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო წლების განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო აქტივობით, მათ შორის კონფერენციებში ჩართულობით და გამოქვეყნებული ნაშრომებიით, მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია კი - მათი საქმიანობის ამსახველი ინფორმაციით, რაც ადასტურებს სასწავლო კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის საჭირო კომპეტენციის ქონას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დანართიდან (პერსონალის პირადი საქმეები), შესაძლებელია დადგინდეს, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები, რომლებიც მოიცავდა სწავლის შედეგების ფორმირების, სწავლება-სწავლის მეთოდების, შეფასების სისტემისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებს, რაც მიუთითებს პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართ სისტემური მიდგომის არსებობაზე.

პროგრამის ადამიანური რესურსი შესაბამისობაშია საკანონმდებლო მოთხოვნებთან.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[5]	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

			მქონე პერსონალი[6]	
სულ აკადემიური პერსონალი	**12**	**9**	**8**	**12**
- პროფესორი	5	4	4	5
- ასოცირებული პროფესორი	5	4	4	5
- ასისტენტ-პროფესორი	1	1	-	1
- ასისტენტი	1	-	-	1
მოწვეული პერსონალი	14	-	-	_
სამეცნიერო პერსონალი	1	-	-	_

რაც შეეხება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვას, ასევე პროგრამის სტუდენტების უზრუნველყოფას არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, უსდ-ის მიერ თვითშეფასების ანგარიშში ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებულია მასზე მსჯელობის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები
- დანართი 5 - პერსონალის კლასიფიკაცია

[რეკომნდაციები](#)

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის](#)

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელდა პერსონალის პროფესიული განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებები, მათ შორის სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები სწავლის შედეგების ფორმირების, სწავლება-სწავლის მეთოდების, შეფასების სისტემისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებზე. დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა საქმიანობის დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებები (დანართი 3), სადაც ჩანს, რომ 2022-2025 წლებში სისტემატურად ხორციელდებოდა პერსონალის პროფესიული განვითარების მრავალფეროვანი ღონისძიებები.

კერძოდ, სწავლება-სწავლისა და შეფასების მიმართულებით განხორციელდა ტრენინგები სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების საკითხებზე, სწავლება-სწავლის თანამედროვე სტრატეგიებზე, სტუდენტის მიღწევათა შეფასების წესში შეტანილ ცვლილებებთან და სილაბუსში განსახორციელებელ კორექტივებთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიმართულებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები საგანმანათლებლო პროგრამების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის, ასევე კლასტერული აკრედიტაციის თავისებურებების გათვალისწინებით პროგრამების განვითარების თემებზე. სამეცნიერო კვლევის მიმართულებით პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიის, სამეცნიერო ბიბლიომეტრიკის, საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან მუშაობის სპეციფიკისა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო რეიტინგის საკითხებზე. აკადემიური კეთილსინდისიერების კუთხით ყოველ სასწავლო წელს ტარდებოდა ღონისძიებები პლაგიატის აღმოჩენის, პრევენციისა და რეაგირების მექანიზმებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, 2024-2025 სასწავლო წელს, სხვა სიახლეებთან ერთად, ჩატარდა სემინარები ხელოვნური ინტელექტისა და უმაღლესი განათლების თემაზე, რაც პერსონალის განვითარების თანამედროვე გამოწვევებზე ორიენტირებულობაზე მიუთითებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- დანართი 3 - პერსონალის განმავითარებელი აქტივობები (2022-2025)

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის პროცესს მატერიალური რესურსის ცვლილების, განახლების ან დამატების აუცილებლობა არ გამოუწვევია. ამასთანავე, წინამდებარე წარმოების ფარგლებში დაწესებულებას არ წარმოუდგენია შესაბამისი დოკუმენტაცია, რის გამოც აღნიშნული კომპონენტი არ ფასდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი

[რეკომენდაციები]

- არ გაცემულა

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.4. მატერიალური რესურსი	არ ფასდება

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებამ დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტების ფარგლებში წარმოადგინა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს 2025-2026 სასწავლო წლიდან 2028-2029 სასწავლო წლის ჩათვლით 4-წლიან საფინანსო პერიოდს და ასახავს პროგრამის ფინანსური მდგრადობის გარკვეულ სურათს.
შემოსავლების მხრივ, პროგრამა ეყრდნობა ერთ შემოსავლის წყაროს - სწავლის საფასურს. 141 სტუდენტის მიერ გადახდილი 2 250 ლარიანი სწავლის საფასური ყოველწლიურ შემოსავლად 1 269 000 ლარს განსაზღვრავს. საგულისხმოა, რომ ბიუჯეტში სხვა სახის შემოსავლები - საგრანტო დაფინანსება, კვლევითი ან კომერციული საქმიანობა - არ არის გათვალისწინებული.
ხარჯების სტრუქტურა ჯამურად 1 269 050 ლარს შეადგენს, რაც შემოსავლების მოცულობას პრაქტიკულად სრულად ემთხვევა. ხარჯების ნაწილში ბიუჯეტის 77,3% პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე მოდის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის და 10,7% ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისთვის. ბიუჯეტი ითვალისწინებს პერსონალის კვლევისა და პროფესიული განვითარებას, სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერის თანხას და გაუთვალისწინებელი ხარჯების რეზერვს. 2028-2029 წლისათვის წინასწარ არის გათვალისწინებული აკრედიტაციის ხარჯი (12 000 ლარი). საბიბლიოთეკო ფონდისა და ელექტრონულ ბაზებზე წვდომისთვის გამოყოფილი თანხა (8 000 ლარი, 0,6%) შედარებით მცირეა, თუმცა მისი შეფასება იზოლირებულად ვერ მოხდება - საჭიროა გათვალისწინება, თუ რამდენად ფარავს უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიუჯეტი პროგრამის სასწავლო რესურსებზე წვდომის საჭიროებებს.
მთლიანობაში, პროგრამის ბიუჯეტი თანმიმდევრულია, ხარჯები - სწორად სტრუქტურირებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები

- არ გაცემულა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური,

სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	აირჩიეთ შესაბამისი

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ეკატერინე ბაკარაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

ეკატერინე ფიფია